საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/84

ქ. ბათუმი 12 აპრილი, 2022 წ.

,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 5 ნოემბრის N01-02/195 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების (ამ დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბრის N481 დადგენილებით შეტანილი ცვლილების), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის MES 0 21 0001011252 ბრძანების, ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს N06-01/86 დადგენილების, „ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს №06-01/86 დადგენილების (ცვლილება - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 19 ოქტომბრის №06-01/114 და 2022 წლის 28 მარტის N06-01/27 დადგენილებით), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 10 აპრილის MES 222 0000369573 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 5 ნოემბრის N01-02/195 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და დამატება, კერძოდ, ბრძანების დანართი 1 (**2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი) ჩამოყალიბდეს ახალი**, თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**
2. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ

,,დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირება.

3. წინამდებარე ბრძანების აღსრულების კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილეებმა.

4. წინამდებარე ბრძანება თარგმნილი იქნეს ინგლისურ ენაზე, ხოლო ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (,,სწავლა“-,,აკადემიური კალენდარი“ და ინგლისურენოვან ველში ,,სტუდენტის გზამკვლევში' ახალი ჩანართის - ,,აკადემიური კალენდარი“ დამატებისათვის).

5. ბრძანება განთავსდეს ბსუ–ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და ნანა მაზმიშვილს.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში

,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 5 ნოემბრის N01-02/195 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის --12-------- აპრილის N --01-02/84---------ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამის 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი
(მე-3-9 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის)

1. 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესი (სალექციო/სააუდიტორიო სამუშაოები) **დაიწყოს 2021 წლის 8 ნოემბერს** და დასრულდეს 2022 წლის 26 თებერვალს. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია განხორციელდეს **2021 წლის 18 ოქტომბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით,** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისში.

2. საახალწლო/საშობაო დასვენების დღეები განისაზღვროს 2021 წლის 31 დეკემბერიდან 2022 წლის 10 იანვრამდე პერიოდით;

3. შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2022 წლის 28 თებერვლიდან 19 მარტის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2022 წლის 21 მარტიდან 26 მარტის ჩათვლით.

4. 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი (სალექციო/სააუდიტორიო სამუშაოები) **დაიწყოს 2022 წლის 4 აპრილს** და დასრულდეს 16 ივლისს. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია განხორციელდეს **2022 წლის** 28 მარტიდან 2 აპრილის ჩათვლით. სტუდენტის მიერ აკადემიური რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების შეტანა ან/და **საპატიო მიზეზით** დაგვიანებითი **აკადემიური რეგისტრაცია** (ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და სხვა ობიექტური გარემოების გამო) **განხორციელდეს სწავლის დაწყებიდან 15 დღის ვადაში (2022 წლის 18 აპრილის ჩათვლით),** ფაკულტეტის მიერ **სტუდენტის განცხადების/დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე** (საქმისწარმოების ელ. სისტემაში წარმოდგენილ განცხადებაში უნდა მიეთითოს საპატიო მიზეზი და თან დაერთოს დამადასტურებელი დოკუმენტები).

5. გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2022 წლის 18 ივლისიდან 6 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2022 წლის **8 აგვისტოდან 13 აგვისტოს ჩათვლით.**

6. ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) **2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ჩარიცხული ბსუ-ს სტუდენტების (ე.წ. მე-3 ნაკადი)** მიერ პროგრამის მოთხოვნების 12 სემესტრში შესრულების შემთხვევაში **კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს 2022 წლის 20 აგვისტომდე.**

7. სუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის **გაზაფხულის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაცია (მე-8 ნაკადის ჩათვლით ჩარიცხული პირებისათვის) დასრულდეს 2022 წლის 18 აპრილს.**

8. **ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო** პროგრამაზე 2022 წლის გაზაფხულის სემესტრში **ე.წ. მე-9 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის** 2021-**2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი** წარიმართოს შემდეგი განრიგით:

ა) გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/კლინიკური/ლაბორატორიული სამუშაო) **დაიწყოს 2022 წლის 02 მაისს** და დასრულდეს 2022 წლის 13 აგვისტოს;

ბ) გაზაფხულის სემესტრის **აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია დასრულდეს 2022 წლის 16 მაისს** (სწავლის დაწყებიდან - 2 მაისიდან 15 დღის ვადაში).

გ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2022 წლის 16 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2022 წლის 5 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით.